საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723131001
თარიღი:11/05/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი N-05

დ. ლენტეხი. 5/ მაისი /2023წ

მიმდინარე წლის 5 მაისს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 13 (ცამეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ირა გვიჭიანი, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, სამშენებლო წედამზედველობის სამსახურის უფროსი გიორგი გულბიანი, ა(ა)ი. პირის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი ციორო ლიპარტელიანი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩახქსელიანი.

მოისმინეს: ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცება.

2. სხვადასხვა.

ბიუროს წევრებმა ღია კენჭისყრით მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროზე განსახილველი საკითხები.

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ;**
2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მისაღების და ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე;**
3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ;**

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის განხილვა;

5. ინფორმაციის მოსმენა - სოფ. სასაშში ემზარ ონიანის სახელობის სკვერის (შეჩერებული პროექტის) შესახებ;

6. სოფ. სასაშში ამირან ონიანის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის შესახებ;

7. სოფ. სასაშში საბავშვო ბაღის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების შესახებ;

8. სოფ. კერბულაშში დაზიანებული სანიაღვრე არხის მდგომარეობის შესახებ;

9. სხვადასხვა.

1. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სპეციალისტი ირა გვიჭიანმა წარმოადგინა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა აღნისნა, რომ სახელმწიფო ქონების სააგენტოს 15.02.2022 წლის N-1/1-729 ბრძანების საფუძველზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას უსასყიდლოს საკუთრებასი გადმოეცა 3(სამი) ერთეული მოძრავი ქონება. ავტომანქნების ღირებულება გადმოცემის დროს იყო 28000 ლარი, 15000 ლარი და 14000ლარი. ავტომანქნები გადმოცემისას იყო გაუმართავი. მოხდა სპეციალისტების მიერ მანქნების რემონტისთვის საჭირო თახხების გამოთვლა. აღმოჩნდა, რომ მანქნების რემონტი დიდ თახხებს მოითხოვდა, ამიტომ მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ავტომანქნები გაიტანოს საპრივატიზებოდ. ამისთვის კი აუცილებელია ექსპერტიზის დასკვნა. მოხდა ავტომანქნების შეფასება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ. ერქსპერტიზის დასკვნის თანახმად ავტომანქნების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 13000ლარი, 10000 ლარი და 8000 ლარი.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - საკრებულოს წინა სხდომაზე გახხდა კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად ვერ მივიღეთ საკრებულომ გადაწყვეტილება. დღეს კი ეკონომიკის სამსახურმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას, შესაბამისად საკითხი გავა საკრებულოს სხდომაზე.

2. მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მისაღების და ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების საკითხთან დაკავშირებით იყო კითხვები საკრებულოს სხდომაზე და ვერ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება. იყო ჩინადადება ავეჯის შეძენა მომხდარიყო კონსოლიდირებული ტენდერით, მაგრამ ეს პროცესი უკვე დაგვიანებულია და ამ გზით ვერ შევიძენთ ავეჯს.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - ყოველთვის ვიმოქმედოთ შესყიდვების კანონის შესაბამისად და პროცესი იყოს გამჭვირვალე. აუცილებლად უნდა გაკეთდეს მერის ოთახი და რადგანაც ვერ ახერხებთ კონსოლიდირებული გზით ავეჯის შეძენას, რათქმა უნდა გავიტანთ ამ საკითხს საკრებულოს სხდომაზე მოსაწონად, მაგრამ აუცილებლად უნად გაითვალისწინოს მერიამ საკონფერენციო დარბაზში ორი კონდიციონერის დაყენება.

ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით პირველი და მეორე საკითხები შეტანილი იქნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. მოსმენილი იქნა ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

ბიუროს წევრებმა იმსჯელეს სოფ. სასაშში ემზარ ონიანის სახელობის სკვერის (შეჩერებული პროექტის) თაობაზე და მიიღეს გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში ჩატარდეს საკრებულოს შესაბამისი კომისიის სხდომა და მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად დაისახოს ხელოვნურად შექმნილი პრობლემის მოგვარების გზები.

რაც შეეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს, ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება , რომ მოწონებამდე აუცილებლად უნდა მოეწყოს პროექტის საჯარო განხილვა და აუცილებლად უნდა მოხდეს პროექტის კორექტირება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მუზეუმი უნდა იყოს ჩვენი რაიონის სავიზიტო ბარათი და აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ პროექტში მუზუმიდან ამაღლების ეკლესიაზე მიმავალი გზის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის ჩამატებაზე.

ბიუროს სხდომაზე ასევე განხილული იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი სოფ. ჩუკულიდან ლეკუმბასტის უბნის ცალკე დასახლებად გამოყოფის თაობაზე. მიიღეს გადაწყვეტილება - შესაბამის მასალა გადაეგზავნოს მერიას და ეთხოვოს წარმოადგინოს საკითხი საქართველოს დადგენილებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესის, პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. (დანართი თან ერთვის) .

ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით ეთხოვა მერიას გაითვალისწინოს ჯოკია მემველიანის სახელობის სკვერთან ლილეში ამავალი გზის ფერდობის შემაკავებელი

კედლის გაკეთება;

ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საკრებულო ცდილობს მაქსიმალურად კომუნიკაციაში იყოს მოსახლეობასთან და არ დაგროვდეს პრობლემები. შესაბამისად დაიწყო გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან. ერთერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო ჟახუნდერის თემის მოსახლეობასთან. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

1 სოფ. ჟახუნდერში - ამირან ონიანის სახლის მდგომარეობა არის საგანგაშო. გადაწყვიტეს: ეთხოვოს მერიის შესაბამის სამსახურს ადგილზე მისვლით გადაამოწმოს ამ ოჯახის მდგომარეობა და დროულად დადოს დასკვნა, თუ რა მოცულობის სახურავი დასჭირდება ამ ოჯახს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში შეორადი სახურავით მაინც დავეხმაროთ;

ანალოგიური პრობლემა აქვს სოფ. ზედა წანაშში დათო ლიპარტელიანის ოჯახს. გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული პრობლემები.

2. სოფ. სასაშში საბავშვო ბაღის მდგომარეობა არის საგანგაშო. არ არის წყალი, მაცივარი, სველი წერტილი. ეთხოვოს სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორს ცირა ლიპარტელიანს ამ ეტაპზე მოაგვაროს ეს პრობლემები და 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირების დროს გასწორდება შესაბამისი ფინანსები;

რადგანაც აღნიშნული პრობლემები არის თითქმის ყველა ბაღში, ეთხოვა მერიის შესაბამის სამსახურს მოამზადოს პროექტი - ყველა ბაღში ელემენტარული ჰიგიენური პირობების შექმნაზე და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები, მით უმეტეს, რომ იწყება ავტორიზაციის პროცესი და ამ მდგომარეობით ვერცერთი ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციის პროცესს;

3. კერბულაშის უბანში მცირეწლოვან ბავშვებიან ოჯახს აქვს პრობლემა გრუნტის წყლის გამო, რომელიც გადმოდის კალაპოტიდან. გადაწყვიტეს: ეთხოვოს მერიას, გაითვალისწინოს უახლოეს პერიოდში აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა 14 საათსა და 40 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი